დემოკრატიის ინდექსი - საქართველო პროექტის „პარლამენტის საქმიანობის მონიტორინგი“ ფარგლებში აცხადებს კონკურსს მონიტორის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად.

ორგანიზაციის შესახებ:
ა(ა)იპ დემოკრატიის ინდექსი – საქართველო არის დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 2019 წლის მაისში დაფუძნდა. დეტალური ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ იხილეთ ჩვენ ვებ-გვერდზე www.democracyindex.ge

პროექტის შესახებ:
პროექტის მიზანია საქართველოს პარლამენტის და ინდივიდუალური დეპუტატების ანგარიშვალდებულების, პასუხისმგებლობის და გამჭვირვალე საქმიანობის ხელშეწყობა, საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

პროექტის ხანგრძლივობაა 12 თვე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
- უმაღლესი განათლება სამართალში (არანაკლებ ბაკალავრის კვალიფიკაცია). უპირატესობა მიენიჭება მაგისტრატურის სტუდენს ან კურსდამთავრებულს;
- ძლიერი ანალიტიკური და წერითი უნარ-ჩვევები;
- ინგლისური ან გერმანული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა;
- დამკვირვებელ არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის გამოკვეთილი მოტივაცია;
- უპიტრატესობა მიენიჭება პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული გამოცდილების მქონე კანდიდატს.

კონკურსი შედგება სამ ეტაპად:

1. **პირველი ეტაპი – აპლიკაციის პროცესი**

დაინტერესებულმა აპლიკანტმა უნდა გამოგზავნოს ქვემოთ მოცემული დოკუმენტები შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: democracyindexgeorgia@gmail.com
- CV
- სამოტივაციო წერილი.
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები.
- ნებისმიერი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის საკითხს.

განცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2020 წლის 30 სექტემბერი, 18:00 სთ.

2. **მეორე ეტაპი – წერითი უნარების შემოწმება**
- აპლიკაციის საფუძველზე შერჩეული კანდიდატები გაივლიან წერით გამოცდას;
- წერით გამოცდაზე კონკურსანტითვის წარდგენილი იქნება 2 საკითხი დემოკრატიისა და საპარლამენტო თემატიკის ირგვლივ.

3. **მესამე ეტაპი – გასაუბრება**

წერითი უნარების საფუძველზე შერჩეული კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას.

სახელფასო განაკვეთი - კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით

სამუშაო საათები - 10:00 – 18:00 (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით)

არასრულად წარმოდგენილი განაცხადი არ განიხილება. გასაუბრებაზე მოწვეულნი იქნებიან მხოლოდ შერჩეული კანდიდატები.